31/05/2023

მახათას მთაზე გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა

ა.წ. 25 მაისს, ამაღლების სადღესასწაულო წირვის დასრულების შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ დაფუძნებულ ფონდ ,,გაამწვანე საქართველო“-ს ორგანიზებითა მახათას მთაზე მდებარე აღდგომის სახელობის მამათა მონასტრის ტერიტორიაზე გამწვანების მორიგი აქცია ჩატარდა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის N 81-ე და N 215-ე საჯარო სკოლებმა.

კიპარისების დარგვის შემდეგ მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა (ღვინიაშვილი) ღვთისმშობლის პარაკლისი გადაიხადა და დალოცა პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები.

ფონდი ,,გაამწვანე საქართველო“ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაარსდა და ქვეყნის მასშტაბით აქტიურად ახორციელებს ეკლესია-მონასტრების, სასწავლებლების, საავადმყოფოების, საპატიმროებისა და სხვადასხვა

ოაწესებულების გამწვანებას

რომელშიც
ა.

Foundation "Make Georgia Greener"

patriarchate.ge